ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი №10, 20.10.2021წ.

რექტორი,პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს დებულება

I. ზოგადი დებულება

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური საბჭო (შემდგომში – აკადემიური საბჭო) არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან რექტორი, რექტორის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტების დეკანები, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, მთავარი ბუღალტერი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი, სტუდენტთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერილი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახურის უფროსი, საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი, სუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის დირექტორი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისათვის.
3. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

4. აკადემიური საბჭოს წევრებად, ერთჯერადად, შეიძლება მოწვეული იყვნენ როგორც საქართველოს, ისე უხცო ქვეყნის ცნობილი მეცნიერები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები.

5. აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

6. აკადემიური საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის დებულებით, აკადემიური საბჭო წყვეტს დადგენილებით.

II. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას.

ბ) ამტკიცებს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის წესდებას, დებულებას, შინაგანაწესს, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, ბიუჯეტს, საშტატო განრიგს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს.

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს.

დ) ამტკიცებს ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებასა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს.

ე) ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს;

ვ) ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარდგინებით ამტკიცებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, სამეცნიერო კვლევების გეგმებს, ბიუჯეტის პროექტს, საგრანტო პროექტებს და საშტატო განრიგს.

ზ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო და სამეცნიერო კუთხით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, მობილობას, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

თ) განსაზღვრავს და ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს.

ი) ამტკიცებს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესს;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ" და უნივერსიტეტის წესდებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

III. აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელი

აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, მისამართი: ქ. თბილისი, 0114, მეფე სოლომონ II-ის ქ. №4.

IV. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო, რომელიც ახორციელებს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.
2. აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელობს მდივანი, რომელსაც აკადემიური საბჭოს წარდგინებით ნიშნავს აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

V. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1. აკადემიური საბჭოს სხდომები

ა) აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის რექტორი;
ბ) აკადემიური საბჭოს სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ, განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია რიგგარეშე სხდომების მოწვევა, რომელიც ხორციელდება რექტორის გადაწყვეტილებით ან საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნის საფუძველზე;
გ) აკადემიური საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი და გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობით;

2. დღის წესრიგი

ა) აკადემიური საბჭოს მდივანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს;
ბ) აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც მდივანსს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე სულ მცირე 2 დღით ადრე;
გ) აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

3. ხმის მიცემა

ა) კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა);

ბ) აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ;

გ) კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება;

დ) ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდნენ;

ე) ბიულეტენის შევსებისას აკადემიური საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით;

ვ) "ე" პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

4. ოქმის წარმოება

ა) აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ოქმი იწარმოება აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ.

ბ) ოქმი მოიცავს:

- სხდომის თარიღს;
- სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;
- დღის წესრიგს;
- სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები გადაეცემა მდივანს ოქმის დანართის სახით.

გ) ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება უნივერსიტეტის ბეჭედი.

5. აკადემიური საბჭოს დადგენილების ძალაში შესვლა

ა) აკადემიური საბჭოს ყოველი სხდომის შემდეგ გამოიცემა შესაბამისი დადგენილება/განცხადება, რომელსაც გაეცნობა საბჭოზე მყოფი ყველა წევრი.

ბ) დადგენილებას ხელს აწერს რექტორი.